ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 2344

„16" დეკემბერი 2014 წ.

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანოების (ქ. თბილისის რაიონების მუნიციპალიტეტის გამგეობების) მიერ „უფასო სასადილოებით მომსახურეობის" პროგრამის ფარგლებში გამოსაცხადებელი სატენდერო პირობებისა და ბენეფიციართა აღრიცხვის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ,, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 26 ნოემბრის №1879 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 16-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ი" და ,,ს", საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანოების (ქ. თბილისის რაიონების მუნიციპალიტეტის გამგეობების) მიერ „უფასო სასადილოებით მომსახურეობის" პროგრამის ფარგლებში გამოსაცხადებელი სატენდერო პირობებისა და ბენეფიციართა აღრიცხვის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ,, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 26 ნოემბრის №1879 ბრძანებით დამტკიცებული „უფასო სასადილოებით მომსახურეობის" პროგრამის ფარგლებში გამოსაცხადებელი სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო პირობების (დანართი N1-ის) :

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რაიონის გამგეობა (შემდგომში-გამგეობა) ვალდებულია უზრუნველყოს ტენდერის გამოცხადება ახალი კალენდარული წლის დადგომამდე, ხოლო შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება კანონმდებლობით დადგენილი წესით (დანართი 1.2).";

ბ) მე-9 მუხლის მე-13 პუნქტის „ვ" ქვეპუნტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) კვების ხარისხის დამადასტუტებელი დოკუმენტაცია ((ISO9001:2008 სერთიფიკატი HACCP (საფრთხის ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო წერტილები) კონცეფციით (სურსათის უვნებლობის კონტროლის კონცეფცია) ან სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისი სერთიფიკატი ან ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი)."

გ) მე-9 მუხლს დაემატოს მე-14 პუნქტი:

,,14. პრეტენდენტი, რომელიც ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ მონაცემებთან ერთად წარმოადგენს ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, შემსყიდველ ორგანიზაციას

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

(გამგეობას) წარმოუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ბიზნესოპერატორის საქმიანობის ნოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.";

დ) დანართი N1.2-ის (ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ) 15.1 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ზ[1] ქვეპუნქტი:

„ზ[1]) ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (რომელიც ადასტურებს ბიზნესოპერატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას) წარმოუდგენლობა.".

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი 12-ე კილომეტრი N6), კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



დავით ნარმანია